№ 107

კვირა, 22 მაისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 107

კვირა, 22 მაისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.



დაზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2.

---

მოსკოვის ურთიერთთა შორის ჭირნახულის სეტყვისაგან

## დამზღვეველ საზოგადოების
# წარმომადგენელისაგან

კავკასიაში ვენახების პატრონების სურვილისა თანახმად, რომელთაც მოინდომეს თავიანთ ვენახების დაზღვევა, **მოსკოვის დამზღვეველ საზოგადოებამ** გადასწყვიტა შეუდგეს დაზღვევას საუკეთესო მოსავლისას, (ვენახისა, სვიისა, თამბაქოს და ბამბის პლანტაციებისა და სხვ). და თავისი განყოფილებაც დააარსოს ტფილისში, თუ დასაზღვევი ფული აიწევს 500,000 მანეთამდე და თუ ამ ფულიდგან დაზღვევის დასაწყებად შემოტანილ იქნება ხსენებულ ჯამის 3% საწევრო გადასახადისა (მე-40 § ი წესდებისა).

რადგანაც ძოახლოვებულია ჭირნახულის გამანადგურებელ სეტყვის დრო, ამიტომ მოვიწვევ ბ-ნთ ბაღ-ვენახების პატრონთ, რომელთაც თავიანთ მამულების დაზღვევის სურვილი უკვე აღიარეს და ჯერ არ შემოუტანიათ განცხადება, რომ დააჩქარონ შემოტანა საწევრო ფულისა, რომლის გადახდის შესამსუბუქებლად ვადა არის დანიშნული და შეუძლიანთ 4—8 წლამდე ნაწილ-ნაწილად გადახდა, შემოსატან ფულის რაოდენობისდა გვარად.

საწევრო ფულს ვიღებ თვით მე, ვაძლევ წესდებასა და ბლანკებს და აგრეთვე ყოველსავე საჭირო განმარტება-ახსნას საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10—12 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა, აგრეთვე „სევერნი ნომრებში“ 2—4 საათამდე.

აქავე შეიძლება დაზღვევაც ნათესობისა. საწევრო ფულს იღებენ აგრეთვე ამ საზოგადოების აგენტები.

დამზღვეველ საზოგადოების წარმომადგენელი, ინსპექტორი
პ. მ. ოკულიჩი

(10—1177—8)

---

**მუშტაიდში**

კვირას, 22 მაისს,

ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიის „დამხმარებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ

გამართული იქნება

საერო სეირნობა

და

## ლატარია-ალეგრი

[illegible] უადღევის 2 საათიდგან ბაღში აუკრავს ორი ხორო მუსიკისა და ნ͏ადი „აბდულ-ბალი.“ ბაღი გაჩირდნებული იქნება. აუშვებენ ჰაეროსტატს, აანთებენ ბენგალის ცეცხლებსა და შუშხუნებს.

ფასი შესასვლელ ბილეთისა ღირს 20 კ. ლატარიის ბილეთისა 20 კაპ.

სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 2 საათზედ. ალეგრისათვის ნივთების შემომწირველთ შეუძლიანთ თავისი შემოწირულობა წარუგზავნონ კნეინა ბ. გ. ბარათაშვილისას რეუტის ქუჩაზედ, საკუთარ სახლში.

---

**საზაფხულო თეატრი**

—

კვირას, 22 მაისს,

გამართული იქნება საბალეტო წარმოდგენა საიმპერატორო ბალეტის მოცეკვავე ქალის ლ. ნ. ჰეიტენისა.

მონაწილეობას მიიღებენ: საიმპერატორო ბალეტის მოცეკვავე ვ. დ. ტიხამიროვი და ამავე ბალეტის პირველი სოლისტები ტ. ი. ჩერნიავსკი და მ. ფ. ბუტლერი და აგრეთვე მთელი დასი მოცეკვავეთა.

წარმოდგენილი იქნება პირველად:

I

## მაჭარის დღესასწაული

ბალეტი ერთ მოქ. თხზ. კოლიორისა, მუს. ზოპეფელდისა.

II

ზღვის თული

დრამატ. ბალეტი 1 მოქმედ., თხზ. სენჟორჟისა და მადილიერისა, მუს. ადამისა და პუნისა.

III

ბალ-მასკარადი

ბალეტი—დივერტისმენტი 1 მოქმედ. გაჰმართავს ჰეიტენი. დასს საკუთარი ხორო ჰყავს მუსიკისა საიმპერატორო მოსკოვის თეატრების არტისტის მ. ვ. შიმონის ლოტბარობით.

დასაწყისი 8 საათზედ

ფასი ადგილებისა საოპეროა. ბილეთების ყიდვა შეიძლება ამ თავითვე თეატრის კასსაში.

დირექცია ლ. ლ. შარაპანტიესი
უმთავრესი გამგე დასისა ნ. ფ. ბუტლერი.

(3—3)


---

## ტფილისი, 22 მაისს

—

20 მაისს სკოლის კრებაზედ თავადმა ივ. მაჩაბელმა საჭიროდ დაინახა „ივერიის“ დაფასებას შესდგომოდა. ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად მოხერხებული ასპარეზია ბანკის კრება სალიტერატურო ბაასის ასატეხად.

იქნება ჩინებული აზრიც იყოს ათასის კაცის წინაშე ერთის რომელისამე ადგილის ამოგლეჯა ავტორის ნაწერისაგან მოწინააღმდეგე კანდიდატის დასაშამათებლად, ამას ჩვენ არ შევეხებით. მაგრამ როდესაც ეს ოპოზიციის ბელადი აღარ ასვენებს სამარეში პატივცემულ მოღვაწეთა გვამთ, რომელთა ხსოვნა ყველა ქართველისათვის ძვირფასია, ისევ იმავე განზრახვით, რომ ილია ჭავჭავაძეს მეკენჭეები ჩამოვაცალოთ, ეს-კი აღარ მოგვწონს!

ოპოზიციის მეთაურებმა ბევრი მაღალ ფარდოვანი სიტყვები იხმარეს ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ, საუბედუროდ, ეს სიტყვები: უანგარობა, ქვეყნის ერთგულება, სიმართლე და სხვა-და-სხვა, მხოლოდ სიტყვებად დარჩა და სარჩული ოპოზიციის საქციელისა ყველასათვის ცხადად აღმოჩნდა. ოპოზიცია ამ ბობს: „Ote-toi de là, que je m'y mette“, ესე იგი «ადექ შენ, რომ მანდ მე დავჯდეო!»

თავადი ივანე მაჩაბელი სრულიად უქმს მოვალეობას ტვირთულობს. ეს რამდენიმე წელიწადია იგი წადმა-უკუღმა წამოდგება ხოლმე და ამხელს კრებას, რომ საზოგადოება შეურაცხყოფილია და ოპოზიციის წარმომადგენელი საღმრთოვალად რაცხს თავისთვის დაიცვას პატივი კრებისა. ასე ინება ბატონმა მაჩაბელმა გუშინ-წინ და ასე ნებულობს, როგორცა სჩანს გაზეთების ანგარიშიდან, კარგა ხანია.

დამშვიდდით, თქვენი ვექილობა არავის არა სჭირია და თუ კრებას ვინმე შეურაცხყოფას მიაყენებს, მას ჰყავს დამცველი და მომვლელი. ამ გვარი მომვლელი კრებისა, რასაკვირველია, არის მისი თავმჯდომარე და არა თავადი მაჩაბელი.

თუ ოპოზიციის მეთაური ასე აღელვებულია გაზეთის რომელისამე ლექსისა გამო, მაშინ უფრო სწორე გზა იქნებოდა მიქცეულიყო ზნეობით პასუხის მგებელთან იმისა, რაც იბეჭდება გაზეთში, ე. ი. იმასთან, ვინც დროებით განაგებს გაზეთს და მოეთხოვება პასუხი. იქნება თავადი მაჩაბელი დაკმაყოფილებულიყო და ის, რაც საადგილ-მამულო ბანკის კრების საბჭო მცირეოდენადაც არ არის, აღარ შეეტანა იქ გადასაწყვეტად.

ნუ თუ ყოველმა რედაქტორმა ეს ლიტერატურული მართებულობა არ იცის და აშფოთებულმა საბანკო მოღვაწემ ივანე მაჩაბელმა შთანთქა ნარედაქტორალი ივანე მაჩაბელი?!.

მაგრამ ყველა გზა რომში მიდისო, რომ იტყვიან, ისეა ჩვენის ოპოზიციის წარმომადგენლის საქმე: ოღონდ-კი ჭავჭავაძეს მოამდუროს მეკენჭეები და ქვა ქვაზედაც ნუ იქნება!

მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენი ბრძოლა, თქვენ და თითონ თქვენი ბანკიც წარმავალია. მაგრამ ის საშუალებანი, რომელსაც ხმარობთ რომელიც დაგმობილი უნდა იყოს ყოველის ქვეყნის ნამდვილ მეგობრისაგან, რომელიც მავნებელსა და ბნელს კვალსა სტოვებს ერის ცხოვრებაში და რომლის სამაგიერო სიკეთის ზღვევა არ ძალგიძთ, ისეთი დანაშაული, რომელზედაც ამ გაფიცხებულს დროს ღირს მოიგონოთ.

მეველე

---

## დამაკვირდი

—

გამდიდრების ხელოვნება მხოლოდ ის არის, რომ ურარი გქონდეს სხვისის სიკეთის დაპატრონებისა პატრონისავე თანხმობით.

ვიელანდი

**

ის უფრო სამარცხვინოა, რომ სასხელი დაჰკარგოთ, ვიდრე ის, რომ ვერ მოიპოვოთ იგი.

პლინიუსი

**

ხშირად შეუნდობთ ხოლმე იმათ, რომელნიც ჩვენ თავს გვაბეზრებენ; მაგრამ იმათთვის-კი ვერ შევხვდებით, რომელთაც ჩვენ ვაბეზრებთ თავს.

ლაროშფუკო

---

# ახალი ამბავი

—

*** დღეს საზაფხულო თეატრში გამართული იქნება პირველად ბალეტი. მეორე წარმოდგენას საბალეტო დასი ხვალ, ორშაბათს ჰმართავს. როგორც გვატყობინებენ, ბილეთები ორივე წარმოდგენისა ბლომად არის გაყიდული.

*** გუშინ, 20 მაისს, დილით, ქალაქში ხმა გაისმა, რომ აქაურს საგუბერნიო ხაზინაში ვიღაც მოჰკლესო, მაგრამ ეს ხმა მართალი არ გამოდგა. 20 მაისს, დილის 11 საათზე, ტფილისის საგუბერნიო ხაზინაში შესულა მღვდლის შვილი ივანე ანდრიას ძე რაზმაძე, ს. ალაიანის მცხოვრები, და ამ ხაზინის უფროსის ბუჰგალტერის ივანე სარქისოვისათვის რევოლვერი უსროლია, მაგრამ სარქისოვს, რაღაც ბედზედ, არა დაშავებია-რა, მხოლოდ შეშინებულა.

ივანე რაზმაძე ყმაწვილი კაცია; შეხედულობით 25 წ. ამ რამდენისამე წლის წინად ამავე ხაზინაში უმსახურნია მწერლად, მერე გადაუყვანიათ ქუთაისის ხაზინაში. აქაც ვერა ჰქონია კარგი განწყობილება ხაზინადართან; ბოლოს, შემდეგ ჩხუბისა, ვეღარ დარჩენილა იქ და გადაუყვანიათ ახალქალაქში, სადაც აქამდინ ბუჰგალტრის თანაშემწედ ყოფილა. როგორც რაზმაძემ სთქვა, ტფილისში იმიტომ ჩამოსულა, რომ ხაზინის გამგესთვის ეთხოვნა, აქ გადმომიყვანეთ, რადგან ახალქალაქში აღარ მინდა სამსახურიო, მაგრამ აქ შეუტყვია, რომ ამ თხოვნას არ შეიწყნარებენ და პირიქით, სრულიად დათხოვნა უნდათ სამსახურიდგან. რაზმაძე როცა ხაზინაში შესულა, პირდაპირ სარქისოვის სტოლთან მისულა და დიდხანს ულაპარაკნია, რომ ეგება როგორმე ისევ ტფილისის ხაზინაში ვიშოვო ადგილიო. სარქისოვს საიმედო პასუხი არ მიუცია რაზმაძისათვის. ამ ლაპარაკის დროს იმათთან მისულა მადათოვი. სარქისოვს ზურგი შეუქცევია რაზმაძისათვის და მადათოვთან დაუწყია ლაპარაკი. ამ დროს რაზმაძე მოშორებია ამათ რამდენისამე ნაბიჯით და რევოლვერი უსროლია ზურგში სარქისოვისათვის. ტყვია სკამის ზურგს მოხვედრია, პატარა პწკარი ავარდნია სკამს, სარქისოვს მოხვედრია ზურგში და ცოტად გაუფხაჰნია.

— რამ გაიძულათ, რომ ეს საქმე ჩაიდინეთო?—ჰკითხეს რაზმაძეს.

— არაფერმა, საჭირო იყო... მინდოდა ყურადღება მოექციათ ჩემთვის!

რაზმაძე ამ ჟამად დაპატიმრებულია. საკვირველი ის არის, რომ რაზმაძესა და სარქისოვს შორის არავითარი უსიამოვნება არა ყოფილა.

⁂ ახალი ბაიაზეთი. აქ მცხოვრებნი ქართველნი დიდად შევწუხდით ჩვენის საყვარლის ბელეტრისტის ე. ნინოშვილის უდროოდ დაკარგვისაგამო ამ თვის 18 პანაშვიდი გადავიხადეთ აქაურს ეკკლესიაში მისის სულის მოსახსენებლად. მღვდელმა იანქოშვილმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „ყველა აქ მყოფთ ქართველთ შეტყობილი აქვთ, რომ 29 აპრილს გ-რდაიცვალა ჩვენი საყვარელი და პატივცემული ე. ნინოშვილი, რის გამოც ეხლა ამ ტაძარში ვართ შეყრილნი. თუმცა იგი აღსრულდა ჯერედ ყმაწვილი, მაგრამ იმ დროს შესაფერად, რაც ხანი იცოცხლა, მან ბევრი ნაშრომი დაგვიტოვა. საცოდავი სცდილობდა გაეგრძელებინა თვისნი დღენი, რომ მეტი სამსახური გაეწია თავისის სამშობლოს და მოძმისათვის, მაგრამ შეუბრალებელმა სენმა უდროოდ გამოაცალა ხელიდგან იგი ერთსაცა და მეორესაც. ნინოშვილისთანა მშრომელი ეხლა ცოტანი გვყავნან. ის ნამდვილი შვილი იყო თავისის მამულისა. ნინოშვილი არ მომკვდარა, ის დაუვიწყარი დარჩება თავის მოძმეთა შორის. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, განსვენებულო ეგნატე!..“

⁂ სოფ. წუნარი (ქართლი). ძლივს გაგვითბა ზამთრისგან გაყინული და დაუძლურებული ძვლები. დადგა თუარა მაისი, ჩვენებურ ხალხმა გამოიღვიძა და სამუშაოდ გავიდა; ზოგმა ვენახს მიჰყო ხელი და ზოგმა კიდევ თოხსა. რადგანაც მუშაობა ძალიან გვიან დაიწყო, ხალხი უკან არის ჩამორჩენილი. წინა წლებში ამ დროს მუშაობა გათავებული იყო ხოლმე და აქაური ხალხი მიდიოდა სამუშაოთ სხვა-და-სხვა სოფლებში, მაგ. მიდიოდნენ ურმებით „ქვა-ნახშირის“ საზიდავად და აი წრევანდელმა წელიწადმა-კი გამოასალმა ჩვენი სოფელი ამ წყაროს.

⁂ 21 მაისს მეზო ვართანოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ვოინის ქუჩაზე ჩემის სადგურიდგან 20 მან. ღირებული სხვა-და-სხვა ნივთები მომპარესო.

## საკვირაო სხარტულა

—

აქვს, თუ არა რედაქტორს რომელისამე ჟურნალ-გაზეთისას ზნეობრივი უფლება და სიმართლე—არ დაბეჭდოს თავის ორგანში ვისიმე მსჯელობა და მსჯავრი, შესახებ საზოგადო საგნისა, საზოგადო მოღვაწისა, თუნდა ამ საზოგადო მოღვაწედ თვით ის რედაქტორიც აღნიშნული იყოს?

სანამდის ამ საკითხავს პასუხს გავსცემდეთ, ვეცდებით ორის სიტყვით გამოვსთქვათ ის აზრი, თუ როგორ უნდა უყურებდეს თვითეული რედაქტორი თავის გაზეთს? ყოველი რედაქტორი, რომელსაც უკისრნია ძნელი და რთული მოვალეობა გაზეთის გამოცემისა, მოვალეა თავის გაზეთის შემწეობით, შეძლებისა და გვარად, თვალ-ყური ადევნოს იმ ხალხის ცხოვრებას, რომლისათვისაც ჟურნალ-გაზეთი გამოდის; მოვალეა გაჰკიცხოს რასაც გასაკიცხსა ნახავს, რაც საქებარია აქოს, ებრძოლოს საბრძოლველს დ მხარი მისცეს ყოველივე საკეთილოს, რომ ამ სახით მან იქონიოს საზოგადოებაზე, მთელს ერზე გავლენა ზნეობითად, სულიერად აღმზრდელ-გამწვრთნელი!.. რითი და როგორ შეუძლიან რედაქტორს ამ გვარის მოვალეობის აღსრულება? თავისის თანამშრომლების და კორესპონდენტების შემწეობით, რომელნიც დაახლოებულნი არიან ცხოვრებასთან სხვა-და-სხვა ქვეყნის კუთხეებთან რომელნიც აღნიშნონ ხოლმე ყოველ მომენტს საზოგადო ცხოვრებისას მთელ ქვეყნის წინაშე, და რომელნიც უნდა ჩაითვალონ ხალხის გონების განვითარების წარმომადგენლად.

თანამშრომელნი და კორესპონდენტნი, რომელნიც გულ-წრფელად, სამართლიანად მისდევენ თავის მოვალეობის აღსრულებას და რომელნიც მოპასუხედა სთვლიან თავის თავს, როგორც თანამედროვე, აგრეთვე მომავალ თაობის წინაშე,—Instrumeutum vocare-კი არ არიან რედაქტორის ხელში, არამედ გაგებულნი ადამნანნი, რომელნიც ვალდებულნი არიან ყოველივე საზოგადო მოღვაწე სამართლიანად ასწონ-დასწონონ, შეიგნონ, დააფასონ და ისე დასდოს თავისი მსჯავრი!.. ეს მსჯავრი, ეს მომავლისათვის საჭირო ოქმი საზოგადო მსჯელობასა, უნდა იყოს გამოთქმული მიუხედავად ამისა, ეს რედაქტორს შეეხება, თუ სხვას... რადგანაც მაშინ ის სამართლდება საზოგადოების წინაშე, არა როგორც რედაქტორი, არამედ როგორც სხვა დროს და სხვა გვარად წინ წასული, ღირსეული, ღვაწლ-დადებული ადამიანი; როგორც საუმჯობესო, საზოგადო მოღვაწე; ანუ და, როგორც უვარგი, უვიცი, მავნებელი და ბოროტ მოქმედი წევრი საზოგადოებისა!.. რედაქტორისაგან ამ უფლებას თანამშრომლობისათვის ჩამორთმევა უთანასწორდება ზნეობითი კანონის ძალით ამ თანამშრომელთა პირად ღირსების, აზრის, ჭკუის და მეტყველების დაჩაგვრას, გაუქმრას, იმ საუნჯის გათქრას, რომელიც შეადგენს საზოგადო და არა კერძო კუთვნილებას, უფლებას!..

გაზეთი მართლა ისეთი კუთვნილება-კი არ არის რედაქტორისა, როგორც ერთი რამ ხელ-მანდილი, ანუ ფოსტალი, რომელთაც ყოველი კაცი ისე მოიხმარს, როგორც მას მოუხდება დ ნებავს, არა ისეთი კუთვნილებაა იგი, რომელშიაც ზნეობრივი პრინციპის ძალით, მთელს საზოგადოებას წილი აქვს ვინ და რად გარდიხდის ხანდახან უკანასკნელს გროშს, ამ ბეგარას შემადგენელს, თუ გაზეთი პატარძალივით მორცხვობას დაიწყებს და ამ მორცხვობას ანაცვალებს ჭეშმარიტებას და მართლიან მსჯავრის გამოთქმას?

ვინც სხვა გვარად უყურებს ჟურნალ-გაზეთს—იმას, ან არკსმის გაზეთის უფლება და მოვალეობა და ან არა სურს მისი შეგნება!..

ამაზე ლაპარაკი მოიტანა იმ გარემოებამ, რომ ოპოზიციამ და მისმა წარმომამგენელებმა სასაყვედუროდ თ. ი. ჭავჭავაძისა კრებას აუხსნეს, გაზეთ „ივერიაში“. ხშირად შეხვედებით რედაქტორის (ილ. ჭავჭავაძეს) ქებასაო და დასამტკიცებლად ამისა წაუკითხა თ. ივ. მაჩაბელმა პონტელის ფელეტონი სწორედ ის ადგილი, სადაც დაახლოვებით ასე სწერია: „ვინ არ იცის, რომ თ. ილ. ჭაჭავაძე ღირსეული კაცია? რომ ის ღრმად განათლებულია და თავის ადგილზედ არის!..“

შეიძლება, თუ არა ამგვარი საყვედური და მეტადრე იმ კაცისაგან, რომელიც თვით რამდენიმე ხანი იყო რედაქტორად, რომელიც განათლებულ და გავითარებულ კაცად უნდა ითვლებოდეს; რომელსაც ლიტერატურის, პუბლიცისტიკის დ კრიტიკის მნიშვნელმა კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული და რომელსაც კარგად უნდა ესმოდეს, რომ იქ მორცხობა საჭირო არ არის, სადაც ვისამე მოქმედებას და პირადობას საჯაროდ მსჯავრი ედება?

ჩვენ ვამბობთ, რომ არა და აი რად:

თუ-კი რომელიმე გაზეთში შეიძლება დაიბეჭდოს ისეთი წერილი, სიტყვა, რომელიც იმ გაზეთის რედაქტორს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ჰკიცხავს, ამცირებს და ყოველ მისს მოღვაწეობას მიწასთან ასწორებს; აწერს მას ყოველივე სისაძაგლეს,—რატომ ისეთი წერილის მოთავსება არ შეიძლება იმ გაზეთში, რომელიც ამგვარ აზრს პასუხს აძლევს და უკანონო იჭვებს უფანტივს მთელს ერს?

თუ-კი თ. ივ. მაჩაბლის წერილი, რომელიც ყოველივე უმართლობას სწამებდა თ. ილ. ჭავჭავაძეს, დაიბეჭდა „ივერია“-ში, რად არ უნდა დაიბეჭდოს ისეთი წერილი, რომელიც, თანხმად მკიდრო, შეურყეველი საზოგადო რწმუნებისა, რომელიც ჩაკვირვებაზე და დაფასებაზედ არის დამყარებული,—ამბობს, რომ თ. ჭავჭავაძე განათლებული, სასახელო და თავის ადგილზე მდგომი კაციაო?

თუ კი „ივერიის“ ფურცლებზედ დაბეჭდილია მ. მაჩაბლის სიტყვა, რომელიც ამტკიცებს, რომ ილ. ჭავჭავაძე მიზეზია საზოგადოების განხეთქილების, არევ-დარევის, დამხობის და ზნეობითად გათახსირების, რად არ შეიძლება ამის საწინამდეგო დაიწეროს იმავე გაზეთში? მით უმეტეს, როდესაც ეს იწერება სრულიად კაცისაგან?

თუ-კი ერთად-ერთი ყოველ დღიური გაზეთის გარეშე სხვა გაზეთი არა გვაქს, რად უნდა იყოს ასაკრძალავი მაშიდ გამოთქმა იმ გვარის აზრის, რომელიც მთელის ერის აზრს ეთანხმება, და რომელიც უტყუარი და სამართლიანია?

ეს ყოვლად უადგილოა, მეტი მოთხოვნილებაა, უკიდურესი და ამისათვის ვალად ვრაცხთ გამოვსთქვათ ის სურვილი, რომ ამ გვარმა მოვლენამ, არამც თუ საზოგადო კრებებზედ არ გამოიჩინოს თავი, არამედ კერძო ლაპარაკშიაც კი მას ალაგი არ დაეთმოს, რადგან ამ გვარი მსჯელობა არ შეეფერება, არ ეთანხმება ლიტერატურულ მართებულობას!..

მენავე

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის კრება

19 მაისს

კრება დაიწყო 10 საათზედ დილით. ამ დღეს კრებას უნდა განეხილა მოხსენება გამგეობისა, იმის შესახებ, რომ ბანკმა თავის სახელზედ დაიმტკიცოს სამუდამოდ არცრუნისეული სახლი და ქარვასლა და თუ, ვინიცობაა, ამაზე სამინისტრო რაიმე მოსაზრებისა გამო, არ დასთანხმდეს—მაშინ დაუმტკიცონ ტფილისის თავად-აზნაურობასაო. ამ მოხსენებასთან ერთად იყო წაკითხული კერძო აზრი თ. ივ. მაჩაბლისა, რომელიც უარსა ჰყოფდა ორივე ამ აზრს და საჭიროდ ჰრაცხდა ეს მამული სხვა რომელიმე დაწესებულებისათვის მიესყიდნა... (ამ კითხვის გარდაწყვეტის დროს წესი აღარ შეიქმნა დაცული და თავმჯდომარემ ეს წესის დარღვევა მიაწერა ოპოზიციას, რადგანაც მის განკარგულებას და შენიშვნას მუქარით და ხელების ქნევით გაექცა, გ. მაჩაბელი,—წინადადება მისცა და გააფრთხილა. ოპოზიციამ საჭიროდ დაინახა დაეტოვებია საკრებულო დარბაზი და ამითი თავისი პროსტესტი გამოეცხადებინა, შემდეგ თ. ვ. მაჩაბელმა, როგორც ერთმა წარმომადგენელმა ოპოზიციისამ ილაპარაკა წესის დაცვის შესახებ. ამავე თხოვნას შეუერთდა თ. ციციშვილი და თავმჯდ. სხდომა შესწყვიტა. სხდომის დაწყების შემდეგ ოპოზიცია, თუმცა დაესწრო კითხვის გარდაწყვეტას, მაგრამ არავითარს მონაწილეობას მრჯელობაში არ იღებდა... აღძრულის კითხვის შესახებ ილაპარაკეს: თ. ილ. ჭავჭავაძემ, დ. ავალიშვილმა, თ. ალ. ჩოლაყაშვილმა, თ. თარხნიშვილმა, ბ. კოპიაშვილმა და ვ. რ. ყიფიანმა. ამათ შორის ბ. კოიაშვილი და ბ. ყიფიანი იმ აზრისა იყვნენ, რომ თავად-აზნაურობის სახელზე დამტკიცებულიყო ეს მამული; დანარჩენნი-კი გამგეობის აზრს ეთანხმებოდენ და უფრო სასარგებლოდ სცნობდენ ბანკის სახელობაზე დამტკიცებას... უმეტესობამ გარდასწყვიტა, იშუამდგომლოს გამგეობამ, რომ სამინისტრომ ბანკისსახელო ბაზე დაგვიმტკიცოს ეს მამულიოო... ერთმა მსესხებელმა განაცხადა, რომ მსესხებელთ არ უშვებენ კენჭის ყრის დროს, ავიწროებენო და ამაზედ წერილობითი განცხადებაც შამოიტანა შეურაცყოფილმაო. ამან საშინელი დრტვინვა და ალიაქოთი ასტეხა საზოგადოებაში; გამოიწვია მსჯელობა და თავმჯდომარის მხრით—ამ საქმის კანონის გზაზედ დაყენება!.. ბ. დ. კეზელმა პროტესტი განაცხადა იმის შესახებ, რომ მსესხებელნი ნუ იქნებიან მიღებულნი კენჭის ყრის დროს, რადგანაც კენჭი გამომსახველია კაცის რწმუნების, მისის სამართლიანობის და მისაგან საგნის შეგნებისა და ამას რითი დაამტკიცებს ის მსესხებელი, რომელიც არავითარ მონაწილეობას მსჯელობაში არ ღებულობს, არ ესწრება კრებებს და მხოლოდ კენჭის ყრის დროს მოდის და შავს, ანუ თეთრს კენჭს აძლევს რომელიმე გარდასაწყვეტ კითხვას... გთხოვთ, ჩემი პროტესტი ოქმში შეიტანოთ საშვილიშვილო საბუთადაო.

აქ მოგვყავს ორი სიტყვა: ერთი თქმული ქ-ნი ეკ. გაბაშვილისგან, რომელმაც დიდი თანაგრძნობა გამოიწვია და მეორე თ. კ. ჩოლაყაშვილისაგან.

სიტყვა, ქ-ნ ეკ გაბაშვილისა: ბატონებო! მე რაც მინდოდა მეთქვა გუშინ, ის პირდაპირ არ შეეხება მმართველობის მეოთხე წევრის არჩევანს. მე მინდოდა ორიოდე სიტყვით გა-

# ფელეტონი

—

### თეატრის დარბაზიდგან

საბანკო დავიდარაბის გამო.

რაც დრო გადის, საბანკო ბრძოლასაც სიმკაცრე ემატება. ორივე დასი თავ-განწირულად იბრძვის. თეატრის ფართო დარბაზში ტევა აღარ არის. აუარებელი საზოგადოება სმენად გადაქცეულა. წესიერება სუფევს, თუმცა ოპოზიცია ხანდახან კაპასობს, წიწმატობს, ბუტიაობს... ასე გასინჯეთ, ერთხელ ოპოზიცია ისე გაფხუკიანდა, რომ დარბაზს თავი დაანება. თვით მოთავე ოპოზიციისა, თ. ი. მაჩაბელი, ტრიბუნასაცკი შემოსწყრა და ორი დღე გულხელ დაკრეფილი ნაღვლიანად შეჰყურებდა თავის დარაზმულ ლაშქარს. თუმცა ორატორმა „მიშომ“ საათ ნახევარს ილაპარაკა და ლაპარაკის სალერღელით გატაცებული თვით კავკასიონის მწვერვალზედაც-კი უნებურად ახოხდა, სადაც ჯანღსა და ბურუსში გაეხვია, მაგრამ ისიც-კი ანჩხლობს,—საკმაოდ არ მალაპარაკებენო!.. და ან საკვირველი რა არის, როდესაც საზოგადოდ გამოაცხადა, რომ შვიდი დღე დაუღალავად შემიძლიან ვილაპარაკოო. ეტყობა, რომ ოპოზიციას დიდი იმედი აქვს ასეთის მახვილისა, როგორიც გალესილი ენაა, და ჰსურს, მსმენელი საზოგადოება უფრო სიტყვების სროლით დაიპყრას, დაიმორჩილოს. მაგრამ ამაო იმედია! ჩვენი თავად-აზნაურობა დინჯად და ღრმად უკვირდება საქმის ვითარებას, საკამათო საგნის აზრს, შინაარსს, და სიტყვების ტკაცა-ტკუცს-კი ცოტა ყურადღებას აქცევს. ს ეს ცუდი ნიშანია ოპოზიციისათვის... კაპასობის მიზეზიც აქ არის...

მესამე დღესვე ცხადად გამოჩნდა ოპოზიციის უძლურება, მისი ცრუ მედიდურება, აზრის სილატაკე. საქმე აი რაშია. მოგეხსენებათ, ოპოზიციის დროშაზედ, სხვათა შორის, ისიც სწერია, რომ ვითომ ბანკის გამგეობა გულ-ქვავად ეკიდებოდეს თავის მოვალეობას და ამის გამო დიდი ზარალი მოსდიოდეს საზოგადოებას. პირველად ამ გულ ქვაობას და ზარალს წასწვდნენ. ეს რომ ცოტად მაინც მართალი ყოფილიყო, ოპოზიციას ადვილად შეეძლო თავისი მეტოქე ბრალდებულის სკამზედ დაესვა და ბრალმდებელად თითონ დამდგარიყო. მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ სწორედ ოპოზიციის მოთავე გამოჩნდა ბანკის მაზარალებლად. როცა ეს მოთავე ბანკში შესულა, ზარალიც იმ დროიდგან დაუწყია ბანკსა. არა ერთი და ორი მაგალითი დასახელდა ამის დასამტკიცებლად. მაშ რაღა საკვირველია, რომ თვით ოპოზიციის მოთავე დაჯდა ბრალდებულის სკამზედ!? საზოგადოებას ცხადად დაანახვეს, რომ ოპოზიციის გულკეთილს და გულ-ჩვილს მოთავეს „შეღავათი“, „ფულის შეტანის დაცალება“ და სხვა ამ გვარი მოწყალება ისე უხვად უნევია, თითქო ბანკი „საპყართა თავ-შესაფარი“ იყოსო. თურმე ნუ იტყვით, ამ მოთავის სახელმძღვანელო აზრი ყოფილა,—

„დიდთა და წვრილთა წყალობა
თქვენმცა ნუ მოგეწყინების,
უხვად გასცემდი, ზღვათაცა
შესდის და გაედინების“...

დიაღ, ბანკი მოწყალების სახლად ჰქონია წარმოდგენილი და მცირე მამულში მსხვილი სესხი ისე ხელგაშლით უძლევია, თითქო სესხის გაცემა ქელეხის შილაფლავიაო!..

დიდი და მაღალი მოძღვრებაა სიბრალული, მაგრამ ბანკი ამ გზას ვერ დაადგება, რადგანაც იმის საფუძველი ანგარიში და სარგებლობაა. ზნეობრივის მოძღვრების აღსასრულებლად სხვა დაწესებულება არსებობს და სადაც ფულის საქმეა და აღებ-მიცე-

მომხატნა ზნეობითი მხარე ჩვენი ბანკის კრებებისა. აქ ორასამდე ქალნი ვართ და ჩვენც უნდა გვქონოდა ნება წარმოგვეთქვა ჩვენი აზრი იმ განხეთქილებაზედ ჩვენ შორის რის დამსწრენიცა ვართ.

მე აქ საქვეყნოდ აღვიარებ, რომ ჭავჭავაძის პარტიას არ ვეკუთნი და არც მგონია, რომ ჭავჭავაძეს პარტია ჰყავდეს?.. ან ის იმისთვის საჭირო იყოს... მე მრწამს, რომ ყოველი გონიერი და შეგნებული ქართველი ჭავჭავაძის მხარეზედ უნდა იყოს, რომლესაც იმის სახელის შელახვას იმუქრებიან.

მე პატივსა ვცემ თ. ილია ჭავჭავაძეს, როგორც პატიოსანს, გონიერს საზოგადო მოღვაწეს; მე თაყვანს ვცემ ილ. ჭავჭავაძეს სახელს, იმიტომ რომ იმან პირველად აღძრა ჩემს გულში ჩემი ქვეყნის სიყვარული და დაამკვიდრა ის აზრი, რომ ქართველების ბედნიერება მათს ერთობაზედ არის დამყარებული და არა უეზდებზედა, გუბერნიებზედ დაყოფაზედ; მე ჩემს ულრმესს პატივისცემას ჭავჭავაძისადმი საქვეყნოდ აღვიარებ და არც მრცხვენია ამისი!.. პირიქით ჩემი გულითადი სურვილია რომ ყოველი ქართველი ქალი ამასვე ჰგრძნობდეს.

მე მაჩაბლის პარტიას არც ვეკუთნი, თუმცა იმის არსებობა ძლიერ კარგათ ვიცი; არ ვეკუთნი და პატივს არ ვცემ და ვებრძვი-კიდეც სადაც შემთხვევა ნებას მაძლევს, შინ თუ გარეთ, მტრის სახლში თუ მოყვრისაში და აქაც ჩემს სრულ პროტესტს უცხადებ მას იმისათვის, რომ მაჩაბლის პარტიას მიზნად აქვს შელახოს, ილ. ჭავჭავაძის სახელი, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, სასურველია, რომ ყოველი ქართველი პატივსა სცემდეს!..

რაც შეეხება მმართველობის მეოთხე წევრის საჭიროებას, აქ გუშინ ეს საჭიროება ჩინებულად გამოხატეს რამდენიმე ორატორმა და კენჭმაც გადაწყვიტა.

მე მხოლოდ არ შემიძლიან საყვედური არ განვუცხადო ბ-ნ ვასილ მაჩაბელს, რომელსაც დიდად პატივს ვცემ და რომელიც ოპოზიციის თვალსაჩინო წევრად მიმაჩნია იმაზე, რომ იმან გუშინ კრებას აუხსნა: თქვენ თუ მეოთხე წევრს აირჩევთ, ორასი თუმანი მეტი დაგჭირდებათო და ეგ ორასი თუმანი თქვენს საწყალს შვილებს ტყუილად მოაკლდებაო... განა ბ-ნ მაჩაბელს, როგორც ოპოზიციის წევრს ნაკლებ დანაკლისად მიაჩნია თავად-აზნაურთათვის, ისა, რომ აქ ოპოზიციის მოწყალებით ათისა და თხუთმეტის დღის განმავლობაში ათას და ორი ათას თუმანს ხარჯავს? მე მგონია—ორასი თუმანი დავხარჯოთ ბანკიდამ, რომ იმ ორასმა თუმანმა ერთი-ორად, ერთი ათად სარგებლობა გვაჩვენოს—ისა სჯობდეს, ვინემ ის, რომ ოპოზიციის ჟინის და უმართლო კიჟინის წყალობით აქ ტყუილ-უბრალოდ საზოგადოებამ ათას თუმნობით ხარჯოს!..

თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. დღეს აქ რაც მოხდა უსიამოვნო მოვლინება და რაღაც უბედურების ნიშანია. დღეს „ოპოზიციამ“ ცხადად დაგვანახვა, რომ ჩვენი საზოგადო კრება, ჩვენდა საუბედუროდ, ორ დასად არის გაყოფილი. ვინ გაგვყო და რად გაგვყო და ან ვინც გაგვყო, იმითი ხომ არ უნდოდა ესარგებლნა, როგორც სხვა ენაზედ არის ნათქვამი: „divide et impera“, ესე იგი „გაჰყავი, დაანაწილე და ამითი ისარგებლეო“. მართლაც, აქ თქვენში ზოგის ოჯახიდგან ორნი ძმანი არიან და ერთი ერთს დასს ეკუთვნის, მეორე—მეორეს. იმან, ვინც ასე უწყალოდ გაგვყო, გულის წადილი აისრულა, მაგრამ რაოდენი პასუხის-გება იკისრა მან, ამას მომავალი დაგვანახვებს!.. გუშინ ბ-ნმა მ. მაჩაბელმა ჰბრძანა, რომ თიანეთის მაზრაში ვიყავი, მთაზედ ავედი, ნისლიანი დღე იყო, ბურუსი მეხვია, მზის სხივები გამოჩნდა და განფანტა ეს ბურუსიო და ქვემოდგან ძაღლის ხმა შემომესმაო... მეც არა ერთხელ ვყოფილვარ თიანეთის მაზრაში იმ მთებზედ და იქაც, ხევსურეთში, არ მინახავს ამისთანა უწესოები, ურიგობა, ქიშპობა და ძმათა გაყრა, როგორსაც დღეს ჩვენ აქა ვხედავთ. გუშინ მე მიკიჟინეს, მისათვის, რომ ი. ჭავჭავაძის პატივის-მცემელი და მომხრე ვარ. მართალია ი. ჭავჭავაძის დიდი პატივისმცემელი ვარ, მაგრამ სიმართლისა-კი მხოლოდ სიმართლის თაყვანის-მცემელი. რაც შეეხება ამ ჩემ მიერ ი. ჭავჭავაძის მომხრეობას, გულ-ახდით ვამბობ, რომ თუ ილია ჭავჭავაძეს „თავისი თავი თვით ახლავს“, თუ ილია ჭავჭავაძე ისევ ის კაცია, რომელსაც თავისი დროშა მაღლა უჭირავს, დროშა, რომელზედაც დიდის ასოებით დაწერილია: „ძმობა, ერთობა და სიყვარული“, მაშინ ამას არც სხვისი ვისიმე ფარი უნდა და არც ქომაგობა!.. ბატონებო, დიდის ვედრებით და თავის მოხრით გთხოვთ ქიშპობას, ძმათა ორგულობას და გაცალკ-ცალკევებას თავი დავანებოთ, ამოუდგეთ ერთმანეთს მხარში და ძმურის გულის-ტკივილით გავუძღვეთ ჩვენს საზოგადო საქმეებს. მხოლოდ ამაზედ, მარტო ასეთს ძმურად მოქმედებაზედ არის დამოკიდებული ჩვენი ბედი და უბედობა!.. (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

## ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრება

20 მაისი

დღეს სხდომა იყო თავად-აზნაურთა საზოგადოების, რომელსაც საგნად აქვს ხელი გაუმართოს საჭიროებაში მყოფთ ჩვენს მოსწავლე შვილებს.

კომიტეტის წევრები უნდა ამოერჩიათ. რიგით გამოდიოდენ დღეს: თ. ა. მაღალაშვილი (გუბერნიის მარშალი); უგ. თ. პ. გრუზინსკი, თ. ვლ. მიქელაძე, თ. იე. მაჩაბელი, მ. ფავლენიშვილი, თ. ლევან ვაჩნაძე და თ. რ. კაზბეკი. თ. მაღალაშვილის დეპეშა წაიკითხა თავმჯდომარემ. (თ. ვლ. მიქელაძე), რომლითაც იგი იუწყებოდა, რომ სხვა და სხვა მიზეზების გამო უოკლოდ შეუძლებლად ჰპოებს იკისროს კიდევ ამ კომიტეტის თავმჯდომარეობა და მადლობას სწირავდა საზოგადოებას მის მიერ მისდამი ყურადღების და პატივისათვის. კრებამ დაადგინა, თანახმად თ. ვლ. მიქელაძის წინადადებისა, თავმჯდომარის ადგილი შეენახოს მას, ვინც თავად-აზნაურთა გუბერნიის მარშლად იქნება აღრჩეული. ვიცე-პრეზიდენტად ერთხმად უკენჭოდ იქმნა არჩეული კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა. უგ. თ. პ. გრუზინსკიც ისევ ერთხმად აირჩია კრებამ, მაგრამ მან მადლობა შესწირა და ვარი განუცხადა. ვარი განაცხადა აგრეთვე თ. ვლ. მიქელაძემ. ერთ ერთ კონდიდატად იყო დასახებული თ. აკ. წერეთელი, რომელმაც ვარი განაცხადა ავადმყოფობის გამო და რომელიც ერთხმად კრებამ საპატიო წევრად აღირჩია. შემდეგ ამისა თ. ვლ. მიქელაძის წინადადების თანახმად კრებამ დეპეში გაუგზავნა თ. ალ. მაღალაშვილს მადლობის და პატივისცემის ნიშნად.

დადგეს ათი ყუთი.

| | თეთრი—შავი |
|---|---|
| რ. ყაზბეგისა | 388—146 |
| ნ. ზ. ცხვედაძისა | 338—196 |
| თ. წინამძღვრიშვილისა. | 308—226 |
| მ. ყიფიანისა. | 309—225 |
| თ. ივ. მაჩაბლისა | 394—230 |
| პ. ყიფიანისა. | 303—231 |
| დ. ავალიშვილისა | 289—245 |
| გ. ზ. ანდრონიშაშვილისა | 288—246 |
| ზ. ფავლენიშვილისა | 282—252 |
| ვ. დ. ვაჩნაძისა | 255—281 |

ამისათვის, ხმის უმეტესობის მიხედვით კომიტეტის წევრებად იქნებიან: თ. ყაზბეგი, ნ. ცხვედაძე, მ. ყიფიანი, ი. წინამძღვრისშვილი და თავ. მაჩაბელი.

ამ სხდომაზე სიტყვები სთქვეს: თ. ილ. ჭავჭავაძემ, პ. ტატიშვილმა, ბ. ხერხეულიძემ, კ. ტატიშვილმა, თ. ივ. მაჩაბელმა და ნ. ნიკოლაძემ. არ შეიძლება ამ სხდომას კაცმა მშვიდობიანი სხდომა უწოდოს კაცმა მაინც და მაინც.... აქ აყო აღძრული კითხვა მაზედ, მართლა თ. ილ. ჭავჭავაძეს, როგორც გორის მაზრაში ხმები დადის, სააზნაურო სკოლის დახურვა ჰსურს, თუ არა? ეს კითხვა იყო აღძრული თ. გ. ციციშვილის მხრით. ამაზე თ. ილ. ჭავჭავაძემ ვრცლად პასუხი გასცა კრებას, რომლითაც დაუსაბუთა, (დაუსაბუთა ვამბობთ მისთვის, რომ დამოკიდებული 1879 წლიდამ, ვიდრე დღემდის ბანკის საქმეების წარმოების ოქმები უკითხა, საიდგანაც მისი აზრი, შესახებ სკოლისა ნათლადა სჩანს), რომ მას არამც თუ არას დროს არ ჰქონია სკოლის დახურვას სურვილი, არამედ ის ყოველთვის მისი მომხრე, მასზედ მოღვაწე და მზრუნველი იყო და არის; რომ მისი სკოლისადმი ზრუნვა არამც თუ დღევანდელ სიფრთხილეს და საქმის ჩაკვირვებას შეადგენდა, არამედ სამერმისო თადარიკსაც-კი ჰხატავდა, რადგანაც მისი ყურადღება იმაზედ იყო მიქცეული, რომ სკოლა დამოუკიდებელი გაეხადნა, და მას ბანკიც რომ ვინიცობაა დახურულიყო, მაინც სახსარი ჰქონოდა არსებობისა, აი, ამნაირად ამტკიცებდა თავის სკოლაზე ზრუნვას კრების წინაშე თ. ჭავჭავაძე, რომელმაც სიტყვის შემდეგ კრებისაგან ხანგრძლივი „ვაშა“ მიიღო.

თ. ივ. მაჩაბელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც, არამც თუ ამ დღეს წარმოთქმულს სიტყვას თ. ილ. ჭავჭავაძისაგან პასუხი გასცა, არამედ ყოვილივე იმას, რაც-კი მას საბანკო და საზოგადო საქმეების შესახებ ბრალსა სდებს. ჩვენ გულით მონდომებილნი ვიყავით ეს სიტყვა, რომელმაც ეგრეთვე ხანგრძლივი „ვაშა“ დაიმსახურა, დღეს აქ სიტყვა სიტყვით მოგვეყვანა, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ჩვენს სურვილს; ვერ ვახორციელებთ ვეცდებით ამ სიტყვას გავაცნოთ მკითხველი შემდეგ №-ში.

კენჭის ყრა გათავდა 8 საათზე საღამოთი.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

აი ერთი მაგალითი რუსის გლეხის უვიცობისა, გაუნათლებლობისა და დიდის ხეპრეობისა. ეს მაგალითი მოჭორებული და მოგონილი ეგონება ადამიანს, რუსეთის რამდენსამე გაზეთში რომ არ იყოს მოთხრობილი.

ჩიგირინის მაზრაში მოვიდა თურმე ერთი ბოშა დედაკაცი, რომელმაც ერთს გლეხ-კაცს უამბო, რომ ვინც ეშმაკს იყიდის, მაშინვე გამდიდრდება, რადგან ეშმაკი დღე და ღამ აუარებელს ქონებასა და ტომრებით ფულს მოუზიდავს თავის მსყიდველსაო.

— მერე რა ღირს თითონ ეშმაკი?—ჰკითხა გაოცებულმა გლეხ-კაცმა.

— ბევრი არაფერი—ერთი თუმანი!

ძლიერ დააფიქრა საწყალი გლეხკაცი ამ ამბავმა: მოსწყინდა შრომით ლუკმის მოპოვება და ცოლ-შვილის გამოკვება. მაგრამ რა ჰქნას, რომ ერთი კაპეიკიც არ მოეპოვება ეშმაკის სასყიდლად. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადასწყვიტა: მოჰპარა თავის მამას ძროხა, წაიყვანა იარმუკაზე და 26 მან. გაჰყიდა. ამ ფულით პირდაპირ ვერეშჩკოში წავიდა და იპოვნა ეშმაკების გამყიდველი გლეხ-კაცი და სთხოვა, ერთი ეშმაკიც არის მისთვის მიეყიდნა. ის ბოშა დედაკაციც აქ დაუხვდა. ფასზედ მორიგდნენ და ტომბახიც-კი დალიეს, რომლითაც თვით მასპინძელი გაუმასპინძლდა. მასპინძელი გავიდა მეორე ოთახში, რომ დაჰკითხებოდა, რომელი ეშმაკი ისურვებდა ამ გლეხ-კაცთან წასვლას. დიდხანს იყვირა, ბევრი ილაპარაკა, ილანძღა, მაგრამ ბოლოს გამოვიდა და გამოუცხადა, რომ არც ერთი ეშმაკი არა თანხმდება შენთან წამოსვლასაო, უეჭველად ფასი უნდა მოუმატოო. გულ-უბრყვილო გლეხკაცმა ამოიღო დანარჩენი 16 მან. და მისცა ეშმაკების ვაჭარს. მასპინძელმა იგივე განიმეორა: ყვირილი და ლანძღვა. შემდეგ გამოვიდა და უთხრა გლეხ-კაცს, რომ ერთი ეშმაკი დათანხმდა, მაგრამ იმ პირობით, რომ ეხლავე არ წამიყვანოსო. ასე ორის კვირის შემდეგ მოდი და მოუტანე ბულკები, ბლითები, კანფეტები, ფორთოხალი და სხვ.

მანამ აქ ეს ამბავი ხდებოდა, შინ გლეხ-კაცის მამამ შეიტყო ძროხის დაკარგვა, მაშინვე ეჭვი შვილზე მიიტანა, რადგან ამ დროს შვილი შინ არ იყო. როდესაც შვილი დაბრუნ-

---

მობა ჰსუფევს, იქ გულ-უხვობა განდევნილი უნდა იყოს. რასაკვირველია, უმეცრებას არა სწამს და არც ესმის ეს მარტივი საფინანსო ჭეშმარიტება... სწორედ ამ საფინანსო ჭეშმარიტების უარყოფას გაუმწვავებია აწინდელი განხეთქილება.

უეჭველია, რომ მარტო მოწყალე გული არ არის მიზეზი, რომ ბანკს დიდი ზარალი მისცემია, როცა ოპოზიციის მოთავეს გამგეობაში მონაწილეობა მიუღია. აქ გამოუცდელობას, წინ-დაუხედაობას, თუ გნებავთ,—უცოდინარობასაც თავისი ადგილი ჰქონია. მაგრამ პრინციპიალურად მხოლოდ გულ-ჩვილობის მოძღვრება ყოფილა ოპოზიციის მეთაურის დედააზრი. სხვა დედა-აზრი, სხვა სახელმძღვანელო საფუძველი, რომელიც ყველა ცალკე დასისათვის სავალდებულოა, ოპოზიციამ ვერ გამოააშკარავა, ვერ დაგვანახვა, თუმცა-კი მრავალთ უმრავლესი ილაპარაკა.

ეს ლაპარაკი ცნობილს ორატორს „მიშოს“ მიანდეს. მოთმინებით მოვისმინეთ იმის მეტად გრძელი, საზელსავით, ვრცელ მანძილზედ გაჭიმული სიტყვა, ისეთი გრძელი, რომ, შუაში რომ ჩასდგომოდი, ვერც თავს დაუნახავდი და ვერც კუდს. და, გატეხილი უნდა ვსთქვათ, მარტო ის აზრი გამოვიტანეთ, რომ ოპოზიციას თურმე ისა სწადიან, რომ ბანკის აწინდელს გამგებელს სახელი გაუტეხოს, პატივი აჰხადოს, ნდობა მოუსპოს საზოგადოებაში, იმის ავტორიტეტი შეჰბლალოს და ამ გვარად შელახული, თავის ადგილიდამ გადამოაბრძანოს და თითონ დასკუპდეს. ჩვენ გვეგონა, რომ და არღვევდნენ იმ მთავარს აზრს, რომელსაც ბანკის გამგებელი მისდევს და აღიარებს, სხვა სასარგებლო გზას გვიჩვენებდნენ, ამის ნაცვლად-კი პირადობა და მოღვაწის შეურაცხება გადმოგვიშალეს, მთელს უშველებელს „რეჩში“ მხოლოდ შურისა და მტრობის ხმა ისმოდა!..

დიდად შესცდა ოპოზიცია, რომ „მიშოს“ დაავალა—ჩვენი ვინაობა და რაგინდარაობა განმარტეო. ორატორის უთავბოლო და უთავაზო სიტყვების სროლამ აწინდელი ოპოზიცია ძირს დაამხო, სიცოცხლე შეუმოკლა. 18 მაისი ამ ოპოზიციის გლოვისა და ძაძის დღედ უნდა ჩაითვალოს. მაშინ გამოჩნდა მისი უდღეურობა, უკანონობა. როცა საზოგადო საქმეში ოპოზიცია პირადის სიძულვილით ჰხელმძღვანელობს, ქვეყნა გრძნობას მისდევს, მაშინ მისი არსებობა ყოვლად შეუძლებელია. ასეთი ოპოზიცია ძალად სხეულზე ამოსული მეჭეჭია, რომელსაც ძირი მალე უხმება და ჰქრება. ხალხის გონებრივი თუ ზნეობრივი ზრდა თავის ბუნებრივს გზაკვალს მისდევს და ვაი იმ დასს, რომელიც ამ ზრდას ამახინჯებს!..

ჩვენ გვჯერა და ვიცით, რომ აწინდელ ოპოზიციის რაზმშიაც მოიპოვებიან დიდ შეგნებულნი, პატიოსანნი, უანგარო მოღვაწენი, რომელთაც საერთო არა აქვთ-რა იმ პირადობასთან, რომელიც ასე აშკარად გამოიხატა 18 მაისის „რეჩში“. ამ მოღვაწეთა გულში უკეთური გრძნობა ვერ დაიბუდებს. ოპოზიცია იმათთვის მხოლოდ საშუალება და იარაღია საზოგადოების გამოსაფხიზლებლად, საქვეყნო საქმეების ცნობიერად წარსამართავად. მართალია, გარკვეული პროგრამმა ჯერ-ჯერობით არც ამ მოღვაწეთა წრესა აქვს, მაგრამ მომავალი იმათია, საოპოზიციო დროშა მაინც იმათ ხელში გადავა.

როცა ეს მოხდება, ოპოზიციაც საზოგადოების თანაგრძნობას შეიძენს და კანონიერი მოვლენა შეიქმნება. ეხლა-კი დროშა სხვებს უჭირავთ და ამიტომ საზოგადოების უმრავლესი და უკეთესი ნაწილი უნდო თვალით უცქერის იმ დროშას...

Plebs

და, უამბო თავის მამას ყველაფერი.

მერე რა გგონიათ, მამამ სასაცილოდ აიგდო შვილის სისულელე? სულაც არა, განა მამა შვილზედ განათლებული იყო? მამამ მეორე ძროხა გაჰყიდა, მისცა 70 მან. შვილს და დაბარა, ორიოდე ეშმაკი ჩემთვისაც იყიდეო. ამითი არ გათავდა ჩვენი გლეხ-კაცის ამბავი. სინიდისმა მხილება დაუწყო, სინანულში შევიდა და ერთ დღეს დასტოვა ცოლ-შვილი თითქმის ულუკმოდ და წავიდა სხვა-და-სხვა მონასტრებში ცოდვის მოსანანიებლად. მრავალი პარაკლისი გადიხადა, ბევრჯელ იმარხულა, შემდეგ დაბრუნდა სახლში წმინდის სინიდისით და ჰფიქრობდა საქმისთვის ხელი მოეკიდნა, მაგრამ... აქ პოლიციამ დაიწყო გამოძიება ძროხის მოპარვის თაობაზედ და ეშმაკების გაყიდვის შესახებ.

ეს საქმე უფრო უკეთესად ასურათებს საერო განათლების მდგომარეობას, ვიდრე მთელი ტომები ამაზე დაწერილი.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** „Figaro“-ში დაბეჭდილია დიდად საინტერესო ლაპარაკი ამ გაზეთის ერთის თანამშრომლისა საფრანგეთის ჯარის ერთს გენერალთან. გენერალის აზრით საფრანგეთი მოგებაში იქნება, თუ სახელმწიფოებში იარაღი აიყარეს, „შეიარაღებულად დარჩენა ერისა“ შეუძლებელია, საფრანგეთში მაინც, სადაც ომის სურვილი თითქმის განქრა, სადაც სამხედრო წოდებას ის პატივის ცემა აღარა აქვს არც მთავრობისაგან და არც ერისაგან, რაც გერმანიაში. რუსეთის შემწეობა, რასაკვირველია, დაუფასებელია, მაგრამ რუსეთი ვერავითარს გავლენას ვერ იქონიებს სამხედრო საქმეზედ ომის დაწყებიდგან ექვს კვირამდის მაინც. გარდა ამისა, გერმანიას ის უპირატესობაცა აქვს, რომ იმისთვის იმპერატორის ერთი სიტყვა საკმაოა, რომ მთელი ჯარი და მხედრობა დაიძრას საფრანგეთისკენ, მაშინ როდესაც საფრანგეთი ბევრს საათსა და დღეს დაჰკარგავს სჯასა და ბაასში მაშინ, როცა მოქმედების დრო იქნება.

„იარაღის აყრა აუცილებლად საჭიროა. ერთად-ერთი იმისი დამაბრკოლებელი მიზეზი ელზას-ლოტარინგიაა. ამ ქვეყნის ბედ-იღბალმა დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთს. უამისოდ საფრანგეთი ისე საჩქაროდ ვერ წამოდგებოდა ფეხზედ და ვერ გაიმართებოდა წელში დამარცხების შემდეგ. მაგრამ აწმყოში-კი იგი აფერხებს ევროპიის მშვიდობიანობას. იქნება, საფრანგეთი დაკმაყოფილებულიყო იმითი, ეს პროვინციები, რომ განცალკევებული ყოფილიყო. ამისთვის საჭიროა ევროპის კონგრესი და იმპერიის მკვიდრთა საერთო თანხმობა. მაგრამ საფრანგეთს მაინც არ შეუძლიან ამ საქმეში მეთაურობა თვით იკისროსო“.

—

**სერბია.** თავადმა ალექსი ყარაგიორგიევიჩმა მიჰმართა „Figaro“-ს შემდეგის წერილით, რომელსაც, გაზეთების სიტყვით, სერბიის ერის მიმართ წარგზავნილ მანიფესტის ხასიათს აძლევენ. „სერბიაში მომხდარ შემთხვევათა გამო ყოველ გაზეთში იბეჭდება იმ გვარი წერილები, რომელთა შინაარსში საზოგადოდ გვარტომობის მხრივ ბევრს შეცდომას შეხვდებით. ამბობენ, რომ შესაძლებელია სამეფო გვარეულება შეიცვალოს და თავადს პეტრე ყარაგიორგიევიჩს ასახელებენ კანონიერ მემკვიდრედ. იმდენად აღსავსე ვარ მოვალეობის გრძნობით, რომ, თუ სერბიის ერმა ხელმეორედ მიჰმართა თავისს პირველს სამეფო გვარეულობას, არ შემიძლია მტკიცედ არ დავიცავ ჩემი უცილებელი უფლება, როგორც მეთაურმა ყარაგიორგიევიჩების შთამომავლობისამ. მე უფროსი წევრი ვარ უფროსის თაობისა. დადგა წამი, როდესაც შემიძლიან საჯაროდ გამოვაცხადო, რომ ჩემს კანონიერს უფლებას, რომელსაც დროს სიხანგრძლივე ვერ მოსპობს, არამც თუ უარს ვყოფ, არამედ მზა ვარ დავიცა იგი“.

—

**ინგლისი.** გლადსტონს თვალის ოპერაცია გაუკეთეს და გადააცალეს ბინდი ისე მარჯვედ, რომ არა დაშავებია-რა. ამის გამო დიდებულს მოხუცს ამ ჟამად ყველას ყურადღება აქვს მიპყრობილი. ყველანი განცვიფრებულნი არიან გლადსტონის გაბედულებითა და ჯან-მრთელობითა. მრავალ გვირგვინოსანთაგან მოუვიდა მილოცვა მოხუცს. უელის პრინცესსაგან გლადსტონმა მიიღო გულითადის თანაგრძნობის წერილი.

### წერილი რედაქციის მიმართ

—

მე გადმომცა ამას წინად ცხინვალის მასწავლებელმა ი. სიმშიაშვილმა ოცდა-ცამეტი (33) ცალი პატარა წიგნაკისა, სახელდობრ „მაგდანას ლურჯა“ და მთხოვა ეს წიგნები ხალხში გამევრცელებინა. ეს წიგნაკები გაიყიდა სულ ერთის საათის განმავლობაში და, სწორე მოგახსენოთ, გულ-დადებითაკ კითხულობდა დიდი და პატარა. მადლობის ღირსნი არიან და იქნებიან ის პატივცემულნი მანდილოსანნი, რომელთაც განუზრახავთ ხალხთა შორის ამ გვარის იაფ ფასიანის წიგნებს გავრცელება. იმედია, განიდევნება „ასპატელოვ სკონდორნოვ“ „გივიშვილები“ ნაჯღაბნები, რომლებიც არც სულს არგია რასმე და არც გულს. და ამათ ადგილს დაიჭერენ ამ გვარი პატარ-პატარა მოთხრობები.

ს. ბერძნიშვილი

ცხინვალი.

## დეპეშა

19 მაისი

**პეტერბურგი.** ტფილისის და ქუთაისის გირავნობის ფურცლებს აფასებენ $6\%$—$101\frac{1}{2}$ მან., $5\%$—101 მან. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციები გაიყიდა 100 მან.

**სოფია.** გუშინ კვლავ მოხდა მანიფესტაციები სტამბულოვის წინააღმდეგ. ერთი კაცი მოკლულ იქმნა, ხოლო რამდენიმე დასჭრეს. სტამბულოვი და მისნი თანამოღვაწენი თავიანთს სახლშივე არიან დაპატიმრებულნი და პოლიცია თვალ-ყურს ადევნებს. ქვეითა ჯარის ორი ბატალიონი და ჟანდარმების რაზმი სტამბულოვს მიემხრო, რის გამოც ამათ ბრძოლა მოუხდათ პრინცის ერთგულ ჯარითან და ამ ბრძოლის დროს ბევრია მოკლული და დაჭრილი.

**ვენა.** ვეკერლემ იმპერატორს მიართვა უნგრეთის სამინისტროს გადადგომის თხოვნა. იმპერატორმა ახალის სამინისტროს შედგენა გრაფ კუენის მიანდო.

უნგრეთის გაზეთები ემუქრებიან მთავრობას, რომ თუ ვეკერლეს სამინისტრო გაუქმდა, რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულებას არ შეეწყნარებთო. თუ უნგრეთის პარლამენტის სხდომათა შეწყვეტის გამო ეს ხელშეკრულება არ იქმნა შეწყნარებული, იგი ძალაში შევა იმპერატორის ბრძანებისამებრ.

**ლონდონი.** 14 თებერვალს დუკრში დაპატიმრებულს ორს რუსს თეოფილე დომბროვსკისა და ს. ლეტერნერს, რომელთაც რუსეთის ყალბი ობლიგაციები აღმოაჩნდათ, მალდსტონის სასამართლომ მიუსაჯა: პირველს 10 წლით, ხოლო მეორეს 3 წლით საპატიმროში სასტიკად დაპატიმრება.

**სოფია.** უკვე შედგენილ იქმნა ბოლგარის ახალი სამინისტრო, სტოილოვი მინისტრთა პრეზიდენტია და შინაგან საქმეთა მინისტრი, ნაჩევიჩი—გარეშე საქმეთა მინისტრი, გეშოვი—ფინანსებისა, როდოსლავი—იუსტიციისა, პოლკოვნიკი პეტროვი—სამხედრო, ტონჩევი—ვაჭრობისა.

**ტიან-ძინი.** მანჯურში არეულობა მოხდა სამიწა-წყლო დავისა გამო ჩინელთა და მონგოლთა შორის.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7,_{81}$ | $7,_{83}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | $150\frac{1}{2}$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 248 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 225 |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | $191\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |


## განცხადებანი

### მოაგარაკეთ

თელავში, ნადიკვარზედ მთელს ზაფხულს ქირით იძლევა ოთხი ოთახი ავეჯეულობით, სამზარეულოთითავის ქვაბ-ჭურჭლიანად. აქვს საკუთარი ეზო, სადაც მოთავსებულია პატარა ბახჩა ჩრდილოიანი ხეებით, ჰაწმინდა და ცივი წყლით. ფასი სამ თვეს ათი თუმანი ფული წინათვე. ადრესი: И. Зарапишвили.

(4—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდი, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

### ხვედურეთის აბანო

(ქარელის რკინის გზის ახლო)

ცნობილია როგორც უებარი სამკურნალო მუწუკით და ქარებით ავადმყოფთათვის. ბანაობა დაიწყობა პირველ მაისიდამ. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ქარელში თ დს. კონსტანტინე ნოდარის ძეს ციციშვილს.

(3—1174—3)

### „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

**ყვავილის ამცრელი ექიმი პროზოროვსკი** სდგას—ვერის ჩასავალს, ოსიპოვის მამულში.

აცრა და გასყიდვა ყვავილის ჩირქისა არის ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 10-მდე, და შუადღის შემდეგ 3 საათიდან 5-მდე.

გარეშე ადგილებიდანაც, შეიძლება ჩირქის დაბარება, რაიცა გაგზავნილი იქნება საჩქაროდ და სუფთად.

(12—9)

კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიამ გამოსცა

### რამდენიმე მოთხრობა

(ხუთი)

ე. ნინოშვილისა

იყიდება ყველგან, სადაც-კი ქართულის წიგნებისვაჭრობა არის.

„წერა-კითხვის საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 9 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| ოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |

**ელისაბედ, თინათინ, ბაბო და მარიამ ნაცვლიშვილები, ანტონ ნატროშვილი და სტეფანე ბაბანასოვი** აუწყებენ რა ნაცნობთა და ნათესავთ გარდაცვალებასა პირველნი საყვარელის დედისა, ხოლო მეორენი სიდედრისას, **მაგდან ნაცვლიშვილისას**, სთხოვენ მობრძანდნენ მეორმოცე დღის პანაშვიდზედ, 22 მაისს, ქვაშვეთის ეკკლესიაში.

(1—1)